მათემატიკა ყველას სჭირდება! გელოდებით 29 ნოემბერს, I ტურზე. გისურვებთ წარმატებას!

ძვირფასო მშობლებო,

წინამდებარე მიმოხილვაში აღწერილია კინგსის მათემატიკის ოლიმპიადის I ტურის ტესტი VI კლასის მოსწავლეებისთვის: მისი სტრუქტურა, ამოცანების ტიპები და შეფასების წესი. ტესტის ორივე ნაწილს ახლავს ამოხსნილი ამოცანები დეტალური განმარტებით.

მნიშვნელოვანია: მიმოხილვის ამოცანები ტესტიდან არ არის აღებული: ისინი სპეციალურად ამ მიმოხილვისთვის შეიქმნა და მხოლოდ ამოცანების ტიპის გასაცნობად არის განკუთვნილი. ტესტში სხვა ამოცანები იქნება.

რატომ არის I ტური მნიშვნელოვანი ყველა მოსწავლისთვის

I ტურის ამოცანები მათემატიკის საფუძველს ამოწმებს – იმ უნარებს, რომლებიც ყველა მოსწავლეს სჭირდება, მიუხედავად იმისა, რამდენად კარგად ერკვევა მათემატიკაში.

1. **გამოთვლის სიზუსტე** – სწრაფი და ზუსტი გამოთვლა ყველა საგანში და ნებისმიერ პროფესიაში გამოგვადგება.
2. **ლოგიკური აზროვნება** – კანონზომიერების დანახვა და ნაბიჯ-ნაბიჯ მსჯელობა ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაში გვეხმარება.
3. **პირობის გააზრება** – ამოცანაში მთავარის დანახვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თავად გამოთვლა.
4. **მათემატიკა ცხოვრებაში** – პარტნიორი კომპანიების ბონუს ამოცანები ფინანსებს, პროცენტსა და წარმოებას ეხება.

მათემატიკაში ძლიერ მოსწავლეს I ტური ცოდნის განმტკიცებასა და უყურადღებო შეცდომების თავიდან აცილებაში ეხმარება, იმას კი, ვისაც მათემატიკა ჯერ კიდევ უჭირს, – თავდაჯერებულობის მოპოვებაში.

ტესტის სტრუქტურა

ტესტი 15 ამოცანისგან შედგება: 10 ძირითადი და 5 ბონუს ამოცანისგან. თითოეულ ამოცანას **სამი სავარაუდო პასუხი** აქვს (A, B, C), სწორი კი **მხოლოდ ერთია**. მაქსიმალური ქულაა **50**, ბონუს ამოცანებით კი დამატებით **15 ქულის** მიღებაა შესაძლებელი.

ნაწილი	ამოცანა	ქულა თითოეულზე	ჯამური ქულა
ძირითადი ამოცანები	10	5	50
მაქსიმალური ქულა			**50**
ბონუს ამოცანები	5	3	**+15 ბონუსი**

I ნაწილი · ძირითადი ამოცანები

10 ამოცანა · თითოეული 5 ქულა · სულ 50 ქულა

ამოცანები სასკოლო პროგრამის ძირითად თემებს მოიცავს: გამოთვლებს, წილადებს, განტოლებებს, გეომეტრიასა და ლოგიკას. ამოცანების უმეტესობა ერთ-ორ ნაბიჯში იხსნება, ზოგი კი მსჯელობას მოითხოვს.

რას ამოწმებს: ძირითადი ცნებების ცოდნას, გამოთვლის სიზუსტესა და ცოდნის არასტანდარტულ სიტუაციაში გამოყენებას.

რიცხვები გაყოფადობის ნიშნები, ხარისხი, მოქმედებათა რიგი
წილადები წილადის ამოცნობა ნახაზზე, მოქმედებები წილადებზე
ალგებრა მარტივი განტოლებები, „უკუსვლით“ ამოხსნა
გეომეტრია წერტილის კოორდინატები, ფართობი უჯრედულ ფურცელზე
ლოგიკა რიცხვითი ცხრილები და კანონზომიერებები


ამოხსნილი ამოცანები

1 რიცხვები **რომელი რიცხვი იყოფა 3-ზე უნაშთოდ?**

A) 244 | B) 371 | C) **522** ✓

სწორი პასუხი: C. რიცხვი 3-ზე იყოფა, თუ მისი ციფრების ჯამი 3-ზე იყოფა: 5 + 2 + 2 = 9. სხვა რიცხვებისთვის ჯამია 10 და 11.

2 გეომეტრია **ნახაზზე K წერტილია მონიშნული. რომელია მისი კოორდინატები?**



A) (5; 3) | B) **(3; 5)** ✓ | C) (3; 3)

სწორი პასუხი: B. K წერტილი ჰორიზონტალურ ღერძზე 3-ის, ვერტიკალურ ღერძზე კი 5-ის გასწვრივაა. ჯერ x-ს ვწერთ, შემდეგ y-ს: K(3; 5).

I ძირითადი ამოცანები (გაგრძელება)

10 ამოცანა · თითოეული 5 ქულა · სულ 50 ქულა

3 წილადები **წრე 6 ტოლ ნაწილადაა დაყოფილი. წრის რა ნაწილია გაფერადებული?**



A) $\frac{2}{3}$ ✓ B) $\frac{1}{4}$ C) $\frac{4}{10}$

სწორი პასუხი: A. 6 ტოლი ნაწილიდან 4 გაფერადებულია: $\frac{4}{6} = \frac{2}{3}$.

4 ალგებრა **ამოხსენით განტოლება: 5 · x − 4 = 21**

A) 3,4 B) 25 C) **5** ✓

სწორი პასუხი: C. ორივე მხარეს 4 დავუმატოთ: 5 · x = 25. აქედან x = 25 : 5 = 5.

5 ლოგიკა **სალომემ თავისი ფულის მესამედი დახარჯა და 18 ლარი დარჩა. რამდენი ლარი ჰქონდა თავიდან?**

A) 24 ლარი B) **27 ლარი** ✓ C) 54 ლარი

სწორი პასუხი: B. მესამედი დახარჯა, ე. ი. დარჩა ორი მესამედი. ორი მესამედი 18 ლარია, ერთი მესამედი – 9 ლარი, მთელი თანხა კი 9 · 3 = 27 ლარი.

II ნაწილი
ბონუს ამოცანები

5 ამოცანა · თითოეული 3 ქულა · 15 ბონუს ქულა

ბონუს ამოცანებს ოლიმპიადის პარტნიორი კომპანიები – Tether, ავერსი და სანტე – წარმოგიდგენენ. ამოცანები ყოველთვის მათემატიკური შინაარსისაა და რეალურ ცხოვრებას უკავშირდება.

პარტნიორები

1 Tether **ფოტოაპარატი 400 USD₮ ღირდა. ფასდაკლებისას მისი ფასი 15%-ით შემცირდა. რა ღირს ფოტოაპარატი ახლა?**

A) 385 USD₮ B) **340 USD₮** ✓ C) 60 USD₮

სწორი პასუხი: B. 400-ის 10% არის 40, 5% – 20, ე. ი. 15% = 60 USD₮. ახალი ფასი: 400 − 60 = 340 USD₮.

2 ავერსი **ავერსის ონლაინ აფთიაქმა დღეს 60 შეკვეთა მიიღო. მათი $\frac{2}{5}$ კურიერებმა შუადღემდე მიიტანეს. რამდენი შეკვეთა დარჩა მისატანი?**

A) 24 B) 40 C) **36** ✓

სწორი პასუხი: C. 60-ის $\frac{2}{5}$ = 60 : 5 · 2 = 24 შეკვეთა უკვე მიტანილია. დარჩა: 60 − 24 = 36.

3 სანტე **სანტეს ქარხანამ ოქტომბერში ლოკო მოკოს 2 400 ყუთი აწარმოა, ნოემბერში კი – 25%-ით მეტი. რამდენი ყუთი აწარმოა ქარხანამ ნოემბერში?**

A) **3 000** ✓ B) 2 425 C) 600

სწორი პასუხი: A. 2 400-ის 25% მისი მეოთხედია: 600. ნოემბერში: 2 400 + 600 = 3 000 ყუთი.

რჩევები I ტურისთვის

მოსწავლეს

1. ყურადღებით წაიკითხე პირობა და დაფიქრდი, რას გეკითხებიან.
2. რთული ამოცანა ნაბიჯებად დაყავი და თითოეული ნაბიჯი ცალ-ცალკე შეასრულე.
3. მიღებული პასუხი შეამოწმე: შეესაბამება თუ არა ის ამოცანის პირობას?
4. ბონუს ამოცანებიც აუცილებლად ამოხსენი: თითოეული დამატებით 3 ქულას გაძლევს.

მშობელს

- ტესტამდე ერთად გადახედეთ ამ მიმოხილვის ამოცანებს და სთხოვეთ მოსწავლეს, ხმამაღლა აგიხსნათ ამოხსნის გზა.
- წაახალისეთ, რომ ამოცანა ჯერ დამოუკიდებლად ამოხსნას და მხოლოდ ამის შემდეგ შეადაროს მიმოხილვაში მოცემულ ამოხსნას.
- შეახსენეთ, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობა უკვე წარმატებაა, მთავარი კი ყურადღება და სიმშვიდეა.

მათემატიკის ოლიმპიადის I ტური 29 ნოემბერს გაიმართება.
გისურვებთ წარმატებას!